საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

ნესტან ღამბაშიძე

ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნეში

(მელანია მამაცაშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, დომენიკა ერისთავი, ნინო ყარანგოზიშვილი)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

0232.1.3. ფილოლოგია

თბილისი
2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნინო მამარდაშვილი**,
ფილოლოგიის დოქტორი

რეცენზენტები: 1. **ამირან არაბული**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2. **ლევან ბებურიშვილი,**
ფილოლოგიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 14 მაისს 16-00 საათზე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: https://zoom.us/j/8978585107

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის 29 აპრილს.
სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი

ნინო მამარდაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში აქტუალურია საკითხი ქალთა ლიტერატურული პროცესის კომპლექსური შესწავლისა. ამ პროცესში ასევე აქტუალურია ნაციონალური და ინტერნაციონალური კონტექსტი, ქალთა პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობის, როგორც ერთიანი პროცესის, გააზრება და ქალის სოციოკულტურული ფუნქციის განსაზღვრა მე-19 საუკუნეში. ნაშრომში შესწავლილია ქალთა გააქტიურების პროცესი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნეში. გაანალიზებულია ქართველ მწერალ ქალთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა და მხატვრული ტექსტები, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. კვლევის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ქალთა ემანსიპაციის საკითხის განხილვა ევროპულ კონტექსტში. კვლევის აქტუალურობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქალთა საკითხი არასდროს ყოფილა ყურადღების მიღმა, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი, არის მცდელობა იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააზრებული იქნას, როგორც ერთიანი პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა არ დარჩენილა ქართველი მეცნიერების ყურადღების მიღმა, ჯერ მაინც არ არსებობს ფუნდამენტური კვლევა, რომელიც სრულად გასცემდა პასუხს აღნიშნულ საკითხებს. მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე მწერალ ქალთა შემოქმედების პრობლემატიკისა თუ მხატვრული მხარის შესწავლას მიეძღვნა ქართველი ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების ცალკეული ნაშრომები, მაგ: იერემია ქარელიშვილმა ფუნდამენტურად შეისწავლა და გამოიკვლია ეკ. გაბაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, სწორედ მის ნაშრომში გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ეკ. გაბაშვილის მხატვრული ტექსტები ჰგავდა და გიდე მოპასანის ნაწარმოებებს, შემდგომში ეს კვლევა ჩვენ მიერ გაღრმავდა. ანასტასია თუმანიშვილის შემოქმედება, როგორც საბავშვო ლიტერატურის მოამაგისა, შესწავლილია და საინტერესო წიგნი აქვს გამოცემული მიხეილ ხელთუბნელს. ანასტასია თუმანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა, აგრეთვე, სერგეი მინაშვილის მონოგრაფია – ,,ანასტასია თუმანიშვილი". მწერალმა ქალმა, ნინო ჩიხლაძემ, წარმოადგინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრში მოღვაწე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების მოკლე ბიოგრაფიები. მრავლადაა ცალკეული წერილები, რომლებიც ქალთა საკითხს ეძღვნება.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანაა კომპლექსურად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე მწერალ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განვსაზღვროთ მათი როლი, მნიშვნელობა და ზეგავლენა ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში; გამოვკვეთოთ მათი შემოქმედების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, საკვანძო თემები და წარმოვაჩინოთ ქალთა ლიტერატურული საქმიანობის ევოლუციის პროცესი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ესაა მცდელობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააზრებულ იქნას, როგორც ერთიანი ევოლუციური პროცესი. სადისერტაციო ნაშრომში ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით კომპლექსურადაა დანახული და შეფასებული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ქართველი მწერალი ქალების ლიტერატურული ტექსტების (ეკ. გაბაშვილი, დომენიკა ერისთავი) მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ ტექსტებთან შედარება (გიდე მოპასნი და ჟორჟ სანდი), მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში. ამასთანავე ჩვენ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ქართველ მწერალ ქალთა ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი აქამდე უცნობი საარქივო მასალა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომი შესრულებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საფუძველზე. კვლევისას, ძირითადად, ვეყრდნობოდით ისტორიულ-შედარებით, დესკრიფციულ და კომპარატივისტულ მეთოდებს. კვლევის პროცესში, ჩვენ მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოვიყენეთ ასევე, შედარება-შეპირისპირებითი, ანალიზისა და სინთეზისა მეთოდები. აღნიშნული მეთოდებით მიღებულმა შედეგმა შეავსო საკვლევი საკითხი, რაც დაგვეხმარა კიდეც ჩვენ მიერ დასახული მიზნის განხორციელებაში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება განსაზღვრულია იმით, რომ მასში გამოყენებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის, ქართული პუბლიცისტიკის ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დახმარებას გაუწევს შესაბამისი საკითხით დაინტერესებულ მკლევრებს. იგი შეიძლება გამოიყენონ დამხმარე მასალად სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა. ნაშრომი გამიზნულია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 177 გვერდს. იგი შედგება შესავლის, 2 თავისა და დასკვნისაგან. I თავი შედგება 4 ქვეთავისგან, IIთავი – 6 ქვეთავისგან. ნაშრომს ახლავს გამოყენებული და დამოწმებული

ლიტერატურის სია – 122 ერთეულის რაოდენობით, ნაშრომს ერთვის ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

შესავალში მოკლედ არის დახასიათებული ნაშრომის მიზნები და ამოცანები, კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა, სამეცნიერო სიახლე, კვლევის მეთოდები და სტრუქტურა.

მეცხრამეტე საუკუნე, მრავალმხრივ გამორჩეულია ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში. ამ ასწლეულში ხდება ფუნდამენტური მოდერნიზაცია საზოგადოებრივი აზროვნებისა. ესაა კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქა, როდესაც პიროვნების
ღირსებისა და თავისუფლების პრობლემა საყოველთაო განსჯის საგანი ხდება. ლიბერალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ქალთა საკითხის აქტუალიზაცია მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, ქალთა აქტიური ბრძოლა თვითდამკვიდრებისა-თვის. ამ პერიოდიდან ქალები თანდათან იქცევიან სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და აქტიურ საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებენ. ეს პროცესები საქართველოს ცხოვრებაშიც აისახა.

თავი I. XIX საუკუნის საქართველოს სოციოკულტურული ვითარება და „ქალთა საკითხის“ აქტუალიზაცია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

მე-19 ს.-ის პირველი ნახევარი საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების განსაკუთრებული გააქტიურებით არ გამოირჩევა, აღსანიშნავია მხოლოდ ლიტერატურული სალონები, რომელის დაარსებაში ქალების როლი მნიშვნელოვანია, იმ მხრივაც, რომ ლიტერატურულმა სალონებმა ხელი შეუწყო თავისუფლებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას. ქართველ ქალთა გააქტიურება ე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. მეცხრამეტე საუკუნის ეს პერიოდი დიდი ცვლილებებით ხასიათდება, ახალმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ახალი თაობა დაბადა და ახალი საზოგადოებრივი აზროვნება წარმოშვა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი გარდატეხა მოხდა. ამ პერიოდიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა თაობა, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული კულტურისა და ყოფის ევროპეიზაცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება განსაკუთრებული ძალით ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების მოდერნიზაცია, რომელსაც საფუძველი საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა.

მე-19 საუკუნეში საქართველოში მომხდარი უმნიშვნელო-ვანესი მოვლენები, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე.

1800 წლიდან დაიწყო ,,ახალი ხანა“ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში. როგორც არჩილ ჯორჯაძე წერდა: „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება გაევროპელება ქართული აზრისა“. ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც ქართულ სინამდვილეში რაღაც სრულიად ახლის, მანამდე უცნობის შემოდინება და დანერგვა. ფრიდრიხ ნიცშეს განსაზღვრებით, „ევროპაში იგულისხმებიან არა შორეული და ყველა ხალხი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ ერთიანი წარსული – ბერძნული და რომაული სამყაროს, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით“. ცხადია, ამ განსაზღვრების მიხედვით, საქართველოც იმთავითვე ევროპულ არეალში მოიაზრება, როგორც ქრისტიანული საწყისებისა და ბერძნულ-რომაული კულტურული ღირებულებების გამთავისებელი ქვეყანა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარიდან ახალი ეტაპი იწყება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ პერიოდიდან თანდათან იცვლება ქვეყნის სოციოკულტურული ვითარებაც.

1. 1. ,,თერგდალეულებისა“ და ხალხოსნების იდეოლოგიური წანამძღვრები

რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა ჩამოიტანეს ახალი იდეები და დაიწყეს საქართველოს სოციოკულტურული სივრცის განახლება. ,,თერგდალეულთა" თაობამ ახალი ერა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ამ თაობის წარმომადგენლები არიან: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, და სხვა ,,თერგდალეულთა" პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის, როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ განვითარებას, მათი მიზანი იყო პიროვნული თავისუფლების, არჩევნის თავისუფლების გაღვიძება საზოგადოებაში, 60-ინელთა თაობამ დააყენა საკითხი ადმიანის თავისუფლებისა. გააღვიძა პიროვნულ თავისუფლებაზე ფიქრი საზოგადოებაში.

80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვან შენაკადს ქმნის ხალხოსნობა. რუსი ინტელიგენცია მსჯელობდა, როგორ შეეტანათ გლეხებში განათლება და მიიჩნევდნენ, რომ, რადგანაც გლეხებზე გადაიარა რუსეთის ტანჯვა-წამებამ, მათ შრომას უნდა აფასებდნენ. ეს იყო არსი იმ მოძრაობისა, რომელიც „ნაროდნიკული" მოძრაობის სახელით შევიდა პოლიტიკურ ისტორიაში. „ნაროდნიკების" იდეოლოგიამ საქართველოშიც ჰპოვა გამოხმაურება. საქართველოშიც გაჩნდნენ მიმდევრები „ნაროდნიკული" მოძრაობისა. ქართულ ხალხოსნურ მოძრაობას ეტყობა რუსული "ნაროდნიკული" გავლენის კვალი. ხალხოსნური მოძრაობის ადგილსამყოფელი ქ. გორი იყო. აღნიშნული მოძრაობა „ტეტიათა მოტრფიალეთა" სახელითაც იხსენიება. ვასილ დეკანოზიშვილი, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, იოსებ დავითაშვილი, მათე კერესელიძე იყვნენ პირველი სულის ჩამდგმელი ხალხოსანთა მოძრაობისა. მოძრაობას შეურთდნენ და თავისი ადგილი დაიკავეს სოფრომ მგალობლიშვილმა, ნიკო ლომოურმა, ეკატერინე გაბაშვილმა, მათ პირველებმა წამოიწყეს ხალხში აგიტაცია და ცდილობდნენ, ხალხისთვის დაენახებინათ რეალობა, რომ ისინი კვლავ მებატონეებზე დამოკიდებულები იყვნენ, თუმცა ამ აზრს სუსტი დასაბუთება ჰქონდა, ამიტომ ქართველ გლეხებსაც დიდად დაინტერესება ამ საკითხებით არ ეტყობოდათ. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში უტოპიური აღმოჩნდა, როგორც ს. მგალობლიშვილი წერდა: „ჩვენ ვცდილობდით ხალხი პირდაპირ გადაგვესკუპებინა სოციალიზმში, ჩვენ გვეგონა ხალხს ერთს, რომ დავიწრუპუნებდით მაშინვე გასოციალისტდებოდნენ", ეს საქმე თავისი საკითხებით ასე მარტივი არ იყო.

1. 2. ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი საზოგადოებრივ აზროვნებაში

აღნიშნულ პარაგრაფში განხილულია ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობის საკითხი, როგორც ინგლისში ასევე სხვა ქვეყნებში, საკვანძო პრინციპი იმთავითვე გახდა ქალისა და მამაკაცის სრული უფლებრივი თანასწორობის აღიარება.

ანტიკური სამყარო არ იცნობდა ადამიანთა თანასწორობას. ამიტომაც არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალიზმი ქრისტიანულ წიაღში შეიძლება ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ – ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები ეფუძნება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგიერთ ასპექტს.

ბიბლიის მიხედვით, ადამი და ევა პირველ საზოგადოებას ქმნიან სამოთხეში, ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობებით – რაც აკრძალულია ერთისთვის, აკრძალულია – მეორისთვისაც. აკრძალული ნაყოფის ჭამის შემდეგ ღმერთმა სასჯელი ერთნაირად გამოუცხადა ადამსაც და ევასაც. აი, ეს თანასწორობაა ქრისტიანული რელიგიის მთავარი მახასიათებელი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, რადგანაც იმ დროისათვის ქალებს ეკრძალებოდათ განათლების მიღება, არ ჰქონდათ მუშაობის, პოლიტიკური კარიერის უფლება.

საქრთველოში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა სამოციანელებმა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) თავიანთი ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აქციეს ბრძოლა ქალთა სამოქალაქო უფლებებისათვის. მათი პუბლიცისტიკის ერთ-ერთი საკვანძო თემა სწორედ აღნიშნული პრობლემა გახდა. სამოციანელები, უპირველეს ყოვლისა, თავად ქალებს მოუწოდებდნენ, რომ გაეცნობიერებინათ საკუთარი უფლება-მოვალეობანი და თავიანთი მოღვაწეობის სფერო მხოლოდ დიასახლისობით არ შემოეფარგლათ.

ამ პერიოდში თავად ქართველ ქალებსაც უჩნდებათ მოთხოვნილება საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა. იწყება ბრძოლა განათლებისთვის, თავის დამკვიდრებისთვის, ღირსების აღდგენისთვის.

1. 3. სერგეი მესხის წერილი „ხამი მოგზაურის ფიქრები და შენიშვნები“ (მსოფლმხედველობრივი ასპექტები)

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ სერგეი მესხის წერილზე ,,ხამი მოგზაურის ფიქრები და შენიშვნები“, რომელიც 1874 წ. ,,დროებაშია“ დაბეჭდილი. წერილი მნიშვნელოვან მასალას იძლევა მაშინდელი საზოგადოების სოციო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული წერილი ვერ მოვიძიეთ სერგეი მესხის წიგნად გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის. წერილი „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ განხილული გვაქვს და წარმოდგენილი რამდენიმე მსოფლმხედველობრივი ასპექტის მიხედვით: 1) განათლების საკითხი 2) ქალთა უფლებების საკითხი 3) რევოლუ-ციის შეფასება 4) ზნეობრივი საკითხი 5) ევროპული ღირებულე-ბების საკითხი 6) რუსული აზროვნება 7) შთაბეჭდილებები.

აღნიშნული წერილით ბევრი რამ ირკვევა. კერძოდ სერგეი მესხის აზრით:

1) სახელმწიფო მუდამ უნდა ზრუნავდეს ქვეყნის განათლების მაღალ დონეზე.

2) ჩვენს ქვეყანაში არსებული ზოგიერთი სასწავლებელი და სკოლები საჭიროებს ცვლილებას.

1. 4. ქართული ლიბერალური პერიოდული გამოცემები: ,,საქართველოს მოამბე“, ,,დროება“, ,,ივერია“

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართული პრესის განვითარებისათვის. ,,საქართველოს მოამბე“, ,,დროება“, ,,ივერია“ ეს, ის, ლიბერალური გამოცემებია, სადაც ჩნდება პირველი პუბლიკაციები, რომლებიც შეეხება „ქალთა საკითხს“.

აღნიშნული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ქალთა ემანსიპაციის საკითხს. ითარგმნებოდა წერილები, ვრცელდებოდა ინფორმაციები ქალების სწავლა-განათლების შესახებ. ,,ქალთა საკითხი“ მსჯელობითა და პოლემიკით მიმდინარეობდა. მაშინდელი პრესა აქტიურად აშუქებდა მსოფლიოში მიმდინარე ,,ქალთა მოძრაობის“ შესახებ ინფორმაციაებს. ქართველ ქალებში გაჩნდა მოთხოვნა სწავლა-განათლების მიმართ, გაჩნდა ინტერესი, ქართველი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყვნენ და თავისი წვლილი შეეტანათ საქვეყნო საქმეში. ქალთა საკითხი, პიროვნული თავისუფლების საკითხი, ეროვნული თავისუფლების საკითხი – არის ძირითადი მახასიათებელი მე-19 საუკუნისა. ,,ქალთა საკითხის“ აქტუალიზაციას ხელს უწყობდა აღნიშნული გამოცემები.

თავი II. ქალთა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა XIX საუკუნის 11 ნახევარში

ქართველი ქალების გააქტიურებამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო ფართო და მრავალმხრივი ხასიათი, ქალთა დიდი ნაწილი პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა წერილებს. ქართველმა ქალებმა თავისი წერილებში რეალურად ასახეს იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება და ის დრომოჭმული ტრადიცია, რომელიც ქალის სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით არსებობდა, თუ ქალების წერილებს თვალს გადავავლებთ, ნათლად ჩანს, რომ ესაა, მოწოდება და გამოფხიზლება ქართველი საზოგადოებისა. ესაა მოთხოვნა იმისა, რომ დაფასებული იყოს ქალის სურვილები, ინტერესი და შრომა, ქალის წერილებში იკვეთება არაერთი პრობლემა, რომელიც აფერხებდა სრულფასოვანი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მრავამხრივ აღსანიშნავია ქართველ ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობა, მწერალმა ქალებმა შეძლეს და ღრმად შეაღწიეს იმ დროინდელი ქალების სულიერ სამყაროში, მათი განცდები და ემოციები, რომელიც ჩაგრული ყოფით იყო გამოწვეული, ქალმა მწერლებმა ამოიკითხეს და ფართო საზოგადოების წინაშე გამოიტანეს, ქალმა მწერლებმა ზუსტად ასახეს 60-იანი წლების საქართველოს ყოფა-ცხოვრება და სოციოპოლიტიკური მდგომარეობა, ნათლად დაგვიხატეს სურათები ქართული სოფლიდან. გაგვაცნეს ტრადიციები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდა ქართულ სოფელში.

დაგვიხატეს ადამიანები, რომელთაც უჭირდათ ბრძოლა საკუთარი თავისუფლებისთვის, საკუთარი ბედნიერებისთვის. ქალების მიერ დაწერილ მხატვრულ ტექსტებს განსაკუთრებული ემოცია ახლავს. ამიტომ შევეცადეთ მხატვრული ტექსტების ამ კუთხით განვიხილვას, გამოვყავით ძირითადი ასპექტები და ის მიზანი რა მიზნითაც მოცემული მწერლების ნაწარმოებები იწერებოდა.

2. 1. მელანია მამაცაშვილი-ბადრიძის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა

1854 წელს გაზეთ ,,კავკაზში" დაიბეჭდა **მელანია მამაცაშვილის** წერილი, რომელიც ავტობიოგრფიულია და მასში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტებია აღნიშნული. მელანია არის პირველი ქალი, რომელმაც ამხილა იმდროინდელი საზოგადოების აზროვნება და შეხედულებები ქალების განათლების შესახებ. სამაგალითოდ, საჯაროდ მან საკუთარი ბიოგარფია გამოიტანა, ,,კარგად დაწერილი ბიოგრაფია იგივე მხატვრული შემოქმედებაა" (ვ. კოტეტიშვილი). მელანია მამაცაშვილის ბიოგრაფია ნამდვილად არის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში, მასში კარგად ვლინდება მაშინდელი საზოგადოების მსოფლმხედველობა. ნათლად ჩანს, რომ იწყებოდა ახალი ერა, საჭირო იყო გადაფასება ზოგიერთი საკითხისა, მის ბიოგრაფიაში ნაჩვენებია საზოგადოება, რომელსაც უჭირს ახლ დროსთან შეგუება.

მელნია მამაცშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მხოლოდ ერთი დაუმთავრებელი მოთხრობით შემოიფარგლება, თუმცა ,,კატო ანას" გაცნობისას ბევრი რამ იკვეთება:

1) დრო, რომელსაც საზოგადოების გარდატეხის ეტაპი მოჰყვებოდა.

2) დაბნეული საზოგადოება, ტრადიციულ ფასეულობებსა და ახალი დროის მოტანილ მოთხოვნებს შორის.

3) თავადაზნაურობა, როგორც თავის გადარჩენის გზების მაძიებელნი.

2. 2. ბარბარე ჯორჯაძის პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და ასევე მწერლობაში ერთ-ერთი პირველი მოღვაწე ქალია ბარბარე ჯორჯაძე. იგი, ღიად, პირველი ალაპარაკდა ქალთა უუფლებო მდგომარეობის შესახებ გამოხატავდა თავის სურვილს საზოგადოების წინაშე წერილებით და მიიჩნევდა, რომ ქალი და მამაკაცი უფლებრივად თანასწორნი იყვნენ ღვთის წინაშე

ბარბარე ჯორჯაძე პუბლიცისტური მოღვაწეობით გამორჩეული და გაბედული ქალია. იგი პირველია, ვინც პრესის ფურცლებზე ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკური წერილებით გამოჩნდა და ამით ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქალებსაც შეუძლიათ მსჯელობა, კრიტიკა და აქვთ აზრის გამოხატვის თავისუფლება, მამაკაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვალდებულია მოუსმინოს და პატივი სცეს მის წინააღმდეგ გამოთქმულ შენიშვნას თუ კრიტიკას, ბარბარე ჯორჯაძის წერილი „ოროიდე სიტყვა ყმაწვილიკაცების საყურადღებოდ" (ჟურნალი „კვალი", 1893წ. #14). განხილული გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის მიხედვით:

1) ქართველი კაცები ცდილობდნენ, დაეჩაგრათ და დაემცი-რებინათ ქალის ღირსება.

2) „სწავლა და განათლება ქალის საქმე არ არის. რადგანაც შემო-ქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს, ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ! სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო".

3) გავრცელებული აზრით, მხოლოდ მამაკაცს ჰქონდა ძალა, ნიჭი და უნარი მმართველობისა: „ყოველგვარი თავისუფლება, ქვეყნის მმართველობა ხელთ მიპყრიაო"- ამბობდა თამამად კაცი.

წერილში ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ქალთა მდგომარეობა, ბარბარე ჯორჯაძეს წერილში დასმული აქვს საკითხი, რომ ქალებს მიეცეთ სწავლა-განათლების უფლება.

ბარბარე ჯორჯაძის მხატვრული შემოქმედების გაცნობისას გამოკვეთილია ქალისთვის დამახასიათებელია სევდა, ტკივილი, მელანქოლია, ემოციური განცდა. წამყვანი მის თხზულებებში

პატრიოტიზმი და სოციალური მოტივია, მის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ბუნების სურათების ასახვას, ცალკე საკითხია ე.წ. მიძღვნილი ლექსები, რომლებიც ბარბარე ჯორჯაძემ მიუძღვნა არა ერთ საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა თუ პოეტს. მიუხედავად იმისა ,რომ ბარბარე ჯორჯაძის პოეზია სევდიანია და მელანქოლიური, მაინც საინტერესოა სოციალური შტრიხებით, მოვლენების თავისებური აღქმით, სითამამით, რაც იშვიათი მოვლენა იყო მაშინ ქალის მხრიდან.

ბარბარე ჯორჯაძე, როგორც დრამატურგი და პიესების ავტორი, ყველაზე მეტად საინტერესოა. მისი პიესების გაცნობისა გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1) სომეხი ვაჭრების სოციალური მდგომარეობა; თბილისელი სომეხი ვაჭრები ცდილობდნენ ქართველ თავადიშვილებთან დამოყვრებას, რათა საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობა აემაღლებინათ.

2) ბარბარე ჯორჯაძის პიესის პერსონჟები ზუსტად ასახავენ იმდროინდელ საზოგადოებას, ყველა იმ სოციუმის წევრია, ვის ირგვლივაც პიესის ავტორს ცხოვრება უწევდა.

3) მაჭანკლობა და მაჭანკლები. იმ პერიოდისთვის ეს საქმიანობა იოლი ფულის შოვნისთვის მომგებიანი სამსახური იყო, ამიტომ ყველა მაჭანკალი ჰგავს ერთმანეთს. დადიან სოფელ-სოფელ სარფიანი საქმის გარიგების მიზნით. მატყუარები, მოხერხებულები, ცბიერები ძირითადად ასე ხასიათდებიან.

4) ბატონისა და ყმის ურთიერთობა – ნაჩვენებია ბატონთა ის კატეგორია, რომელიც არის ყმების მოყვარული და მათზე მზრუნველი, სურს, გლეხების მიწით გაათავისუფლება.

5) პიესებში ჩანს ახალი დროით უკმაყოფილება, დროის უკმაყოფილების საკითხი მებატონეთა დიალოგებში გამოიკვეთა.

6) ახალი მოთხოვნები და სწავლასთან დამოკიდებულება.

7) სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება. როგორც თითქმის ყველგან, ყველა ნაწარმოებში ბოროტება ვერ ერევა სიკეთეს.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი გზა მრავალმხრივ საინტერესოა, მან ყველაფერში სცადა ბედი: პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, რაც შეეძლო, თავი არ დაუზოგავს. იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალი.

2. 3. ეკატერინე გაბაშვილის პუბლიცისტურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, იმ მდგომარეობის ფონზე, სადაც ყველას, ქალსა და კაცს სული ეხუთებოდა, სადაც სიყვარული არ იყო თავისუფალი და გრძნობებზე ტრადიცია ბატონობდა, სადაც გათხოვებისა და ქორწინების საკითხს ქონება და წოდება განსაზღვრავდა, ადამიანის სული დაცლილი და გამომშრალი იყო და ტრადიციულად შემორჩენილი რწმენით სულდგმულებდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ქალი, რომლის მოღვაწეობის ღრმად გაცნობისას ირკვევა, რომ, თუ შეიძლება, ვინმეზე ითქვას იყო ხალხის და სოფლის გულშემატკივარი, ეს უპირველესად უნდა ითქვას ეკატერინე გაბაშვილის მიმართ.

ეკატერინე გაბაშვილი აქტიურად იყო ჩართული იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.ის იყო მწერალი ქალი, რომელიც უშიშრად, შეუპოვრად გამოდიოდა და არ ერიდებოდა საჭირბოროტო საკითხებზე საუბარს. ის იყო იმ ქალთაგან ერთ-ერთი, ვინც ღიად ამხელდა ქალთა უუფლებო მდგომარეობას. იგი მოუწოდებდა გლეხებს, გაეგოთ და გაეაზრებინათ სწავლის აუცილებლობა.

1870 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის წერილი “გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“. იგი წერილში ხაზგასმით საუბრობს სწავლა-განათლების აუცილებლობაზე: „განა ვერ ხვდებით? როგორ ყველაში გჯობიათ სწავლულნი ხალხნი, როგორც გონივრობაში, ისე ცხოვრებაში, თუ ჭამით, თუ სმით და ჩაცმით? სწავლას უფრო ადვილად მოაქვს კეთილი ცხოვრება, დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოვება? არა, თქვენნაირ მხვნელ-მთესველს კარგი ცხოვრება ვერ უპოვნია და ვერც თქვენ იპოვნით იმიტომ, რომ ხვნა და თესვასაც სწავლა უნდა, სწავლა დიდი სამკაულია კაცისთვის და მარტო სწავლას შეუძლია გამოიყვანოს ხალხი ამ უმეცარი მდგომარეობიდან, რომელშიც აქამდისინ არიან ჩაფლული.“ ასეთი პრაქტიკული მიდგომით, სწავლისადმი ინტერესის გაღვიძებით ცდილობდა ეკ. გაბაშვილი გლეხები დაერწმუნებინა, რომ მათ შვილებს ესწავლათ,

სამეცნიერო ლიტერატურაში გაიჟღერა მოსაზრებამ,რომ ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული ტექსტების მსგავსება შესამჩნევი იყო გიდე მოპასანის ნოველებთან.

მოპასანის და ეკ. გაბაშვილის მხატვრულ ტექსტებს შორის მსგავსების ძირითადი აქცენტი ისაა, რომ ეკ. გაბაშვილი გიდე მოპასანის მსგავსად ცდილობდა, მხოლოდ ფაქტები და ადამიანის ქცევები გადმოეცა: ,,პერსონაჟის ფსიქოლოგიის დამალვას ცდილობდა, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში იმალება ადამიანთა ქცევაში.

მოპასანის ნოველების გმირებსაც უჭირთ სხვა ადამიანების გაგება, როგორც ეკ. გაბაშვილის მოთხრობების გმირებს, მაგ: მშობლებს უჭირთ, შვილებს გაუგონ. მთავარი კავშირი ეკატერინე გაბაშვილისა გიდე მოპასანთან კი შემდეგშია:

1) ეს არის ნატურალური ხედვა და რეალისტურად გადმოცემული ამბები.
2) გი დე მოპასანის შემოქმედებითად აღზევება 1880-იანი წლებიდან იწყება.
3) ქალი იყო ორივე მწერლის შემოქმედებითი შთაგონების წყარო.
4) წინააღმდეგობები, მათი დაძლევა ან გადალახვის სურვილი.

2. 4. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის საზოგადოებრივი და პუბლიცისტური,ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობა

ანასტასია თუმანიშვილი 1872 წლიდან იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მან შეადგინა ,,ქალიშვილთა წრე“ რომლის მუშაობის მიზანი იყო, ქართველი ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა, აარსებს ,,მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას“ სადაც გართიანებულნი იყვნენ ქალი მასწავლებლები, ექიმები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივ აღსანიშნავია. ანასტასია თუმანიშვილი ჩართული იყო ყველა ქვეყნისთვის საჭირო საქმეში, მუშაობდა დღედაღამ, მისი თვალი და ყური სწვდებოდა და ისმენდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო იმდროინდელი სწავლა-აღზრდის მიმართულებით. 1879 წელს იგი ღიად, პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე თავისი ნაშრომით ,,თარგმანი ფრანგულიდან ვალტერ სკოტის ,,ჰირლანდიელი ქვრივისა'' (,,მოთხრობანი'' გამოც. ქართველ მთარგმნელ ქალთა მიერ). 1884 წელს გახსნა სოფ. ხელთუბნში სკოლა. 1886 წელს ანასტასია თუმანიშვილმა საკუთარი სახსრებით იყიდა ნაკვეთი, სადაც ბავშვებისთვის საერთო საცხოვრებელი, საფუტკრე და ბაღი გააშენებინა. 1883 წ. ანასტასია იყო იმ აქტიურ ქალთაგან ერთ-ერთი, რომლებმაც შექმნეს საზოგადოება, რომელიც ეხმარებოდა გაჭირვებულ მასწავლებლებს. 1883 წ. ,,დროებაში'' #225 დაიბეჭდა ანასტასია თუმანიშვილის წერილი ,,საზოგადოების საყურადღებოდ'', სადაც გამოეხმაურა ქალთა ჩაგრულ ყოფას, ღიად დააყენა საკითხი მათი მძიმე შრომის პირობების შესახებ. 1886 წ. ანასტასია თუმანიშვილი აირჩიეს ,,მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების'' ხელმძღვანელად.

1890 წ. ანასტასია თუმანიშვილი აირჩიეს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. ანასტასია თუმანიშვილმა 1890 წელს გამოსცა პერიოდული, საბავშვო ჟურნალი ,,ჯეჯილი''. 1891 წელს ანასტასია თუმანიშვილისა და ეკატერინე მელიქიშვილის თაოსნობით გაიხსნა პირველი სამკითხველო კუკიის უბანში.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ცალკე მოვლენაა მის ცხოვრებაში. იგი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჟურნალს, თუმცა მისი დაარსებისის ისტორიამ და ანასტასია თუმანიშვილმა რთული გზა განვლეს. ,,ჯეჯილის'' როლი დიდია ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

საბავშვო ლიტერატურა, როგორც ცალკე მიმდინარეობა, არ იყო ჩამოყალიბებული. ანასტასია თუმანიშვილი, როგორც პედაგოგი ფიქრობდა, რომ ბავშვებს უნდა ჰქონოდათ ცალკე საკითხავი, საინტერესო ლიტერატურა, რომელიც მათ პერიოდულად მიეწოდებოდათ და კითხვის ჩვევას, სწავლის სურვილს, ქართული ენის სიყვარულს ჩაუნერგავდა.

ანასტასია თუმანიშვილმა დიდი ვალი დასდო ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებას, ის მუდმივად იყო მომავალი თაობის სწავლა-განთლებისთვის მებრძოლი და გულშემატკივარი. ანასტასია თუმანიშვილის წერის სტილი მარტივია. ენა ცოცხალი, ადვილად გასაგები. ფაქტები ცხადად და უბრალოდ გადმოცემული. მის შემოქმედებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი აქცენტი: 1) სიკეთის – როგორც ჩვევის გამომუშავება ბავშვებში; 2) ბრძოლის ჟინი და შემართება; 3) შრომის ჩვევის გამომუშავება; 4) უსწავლელი, გაუნათლებელი ადამინების ნაკლოვანებების ჩვენება; 5) ერთგულების მნიშვნელობა; 6)

სიძუნწე, როგორც მავნე ჩვევა. ყოველივე ეს ის თვისებებია, რომლებიც ბავშვებს ადრეული ასაკიდან ცხოვრებისეული მაგალითებით, საინტერესო ამბებით უნდა გამოვუმუშაოთ.

2. 5. დომენიკა ერისთავის (განდეგილი) საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა

დომენიკა ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღსანიშნავია იმით, რომ იგი მძიმე ოჯახური მდგომარეობის პირობებში გამოვიდა საზოგადო ასპრეზზე და თავი გაუტოლა მამაკაცებს, საუბრობდა ქალთა ჩაგვრასა და შეზღუდულობაზე, მას სწამდა, რომ: ,,დედაკაცი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა, რამდენად მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი იმდენად საღია აზროვნება. ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არ არის, არამედ თავისუფალი ადამიანია.“ – წერდა ის და მუდმივად იყო ქალების გვერდით, იბრძოდა მათი თავისუფლებისთვის და იმისთვის, რომ ყველა ქალს ჰქონოდა, ის, თავისუფალი სივრცე, სადაც, საჭირო და მისთვის სასურველ პროფესიას შეასრულებდა.

დომენიკა ერისთავი 1893 წელს აქვეყნებს პირველ ლექსს, მიძღვნილს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი. ამავე წელს მიიწვიეს გაზეთ ,,ივერიაში“ მუდმივ თანამშრომლად კორექტორის თანამდებობაზე.

1898 წ. გამოვიდა მისი ლექსების კრებული. 1910 წ. გამოვიდა ლექსებისა და მოთხრობების წიგნი. 1898 წ. დომენიკა ერისთავმა თარგმნა გრიბოედოვის პოემა ,,ვაი ჭკუისაგან“, რომელიც 1902 წ. ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოიცა. 1904 წ. დომენიკა ერისთავი ჟურნალ ,,ნობათის“ რედაქტორად დანიშნეს. 1914 წ. ,,ქართველ ქალთა საზოგადოებას“ თავჯდომარეობდა. დომენიკა ერისთავმა ლიტერატურული შემოქმედება პოეტობით დაიწყო, იგი როგორც პოეტი ქალი,პირველად ივერიის ფურცლებზე გამოჩნდა.

განდეგილი თავის თხზულებებში გვიჩვენებს ქალის ფსიქოლოგიას, მისი სულის ტკივილს. ქალი, რომელსაც მხოლოდ დანიშნულებისა და საჭიროებისამებრ იყენებენ, ისე როგორც ნივთს, იფიტება, აღარ აქვს სილამაზე, დომენიკა ერისთავი კი სპეტაკ სიყვარულზე წარმოქმნილი ოჯახების შექმნის მომხრე იყო. განდეგილმა თავის შემოქმედებაში აჩვენა ადამიანთა კატეგორიები და შექმნა პერსონაჟთა სხვადასხვა ტიპები მაგ: 1) მებატონეთა ისეთი ტიპი, რომლებიც მთელი ცხოვრება თავისი ნება-სურვილით ცხოვრობდნენ; 2) აჩვენა მშობლების ისეთი ტიპი, რომელსაც შვილის არ ესმის და არც უსმენს მას; 3) ნაჩვენებია ბავშვი, რომლისთვისაც გაუგებარია გემრიელი საჭმლისთვის საყვარელი არსების (შინაური ცხოველისა თუ ფრინველის) მოკვლა. განდეგილმა წარმოგვიდგინა აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობები, სადაც გამოიყოფა ორი ძირითადი ასპექტი:
1) ქურდობა, როგორც დანაშაული, რომლითაც სხვას აზიანებ,
2) დანაშაულის აღიარება, როგორც კარგი საქციელი.

განდეგილს ჟორჟ სანდს ადარებდნენ. საინტერესოა, რა პარალელები იძებნება ფრანგი ქალის ცხოვერებასა და განდეგილს შორის. პირველი ის, რომ ორივეს ცხოვრება ჰგავს ერთმანეთს არშემდგარი ქორწინებით, ჟორჟ სანდის აზრით: ,,ქალის მეორეხარისხოვნობას განაპირობებს არა მისი ბუნება, არამედ გაბატონებული ცრურწმენები, უსამართლო ადათ-წესები. ქალის გონება არ ჩამოუვარდება კაცისას და თუ ქალი კაცივით ნიჭიერი არ არის, ეს ტრადიციული აღზრდის ბრალია და მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობისა. შეგვიშვით უმაღლეს სასწავლებლებში, თავი გაგვიტოლეთ და ნახავთ, რომ თანასწორნი ვართ“ - წერდა ის. დომენიკა ერისთავიც ჟორჟ სანდივით ფიქრობდა. მას არა მარტო მოსაზრებით გამოუხატავს ეს, არამედ ცხოვრების წესითაც. ის წერდა ქალთა დაჩაგრულ ბედზე, წერდა სპეტაკ სიყვარულზე, რომელიც უნდა ყოფილიყო მყარი ოჯახების შექმნის საძირკველი. ესაა მათ შორის მსგავსება. ქალის დაფასება, ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა იყო დომენიკა ერისთავის სურვილი.

3. 6. ნინო ყარანგოზიშვილი- პოეტი ქალი

მეცხრამეტე საუკუნის პოეტ ქალთა სიაში მოიხსენიება ნინო ყარანგოზიშვილი. 1889 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ დაბეჭდილი პეტრე უმიკაშვილის წერილი გვამცნობს, რომ ,,მოლექსე ქალთა შორის არის ნინო ყარანგოზიშვილისა“. მისი ლექსების ძირითად ნაწილს აკლია რითმა და რიტმის შეგრძნება, თუმცა ერთი რამ ცხადია, ნინო ყარანგოზიშვილს არ აქვს ამბიცია პოეტობისა, -,,მხოლოდ კალმის აღებით ვგავარ პოეტსო“ – წერს ის. ესაა ძალიან სევდიანი ქალის ცხოვრების ლექსად ნათქვამი განცდები, ტკივილი გაზიარებული ლექსებში, მშობლიური სოფლის მონატრება, წარსული (ბავშვობის) დროის დაბრუნების სურვილი. სამდურავის გამოხატვა წუთისოფლის მიმართ. მის დაუნდობლობაზე ჩივილი, ნათელია ის ფაქტი, რომ ნინო ყარანგოზიშვილი კარგად იცნობდა ძველ მწერლობას, გავლენაც შესამჩნევია მის ლექსების გაცნობისას, რაზეც მიუთითებს ვარდისა და ბულბულის ურთიერთობა (თეიმურაზის „ვარდბულბულიანი“), ფარვანასა და სანთლის ტრფიალი. ყველაზე დიდი შეფასება მაინც ნინო ყარანგოზიშვილის პოეზიისა გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებია: ,,მშვენიერი ლექსები“.

ქალთა ლიტერატურული შემოქმედების განხილვამ ნათლად წარმოგვიდგინა საქართველოს იმდროინდელი სოციოკულტურუ-ლი მდგომარეობა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფუძველი ჩაეყარა საბავშვო მწერლობის განვითარებას, როგორც ცალკე დარგისას. იმ მძიმე ვითარების ფონზე, რაც მოთხრობებშია გადმოცემული, კარგად გამოიკვეთა ქალის დაჩაგრული და უუფლებო ყოფა, განასაკუთრებით სოფლებში. ქალთა შემოქმედებაში ნათლადაა წარმოდგენილი (სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება) ურთიერთობებისაგან დაცლილი ადამიანები, მხოლოდ ლუკმაპურისა და საკუთრი თავის გადარჩენის მაძიებლები.

ქალმა მწერლებმა აჩვენეს ისეთი სუსტი ადმიანები, (ქალები) რომლებსაც უჭირთ ბრძოლა პირადი ინტერესებისთვის, საკუთარი ბედნიერებისთვის, არ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ეშინათ დაბრკოლებების გადალახვისა.

მხატვრულ ტექსტებში რეალურადაა ნაჩვენები დაჩაგრული ქალების ბედი, მშიერი, ეკონომიურად მძიმე პირობებში მცხოვრები ბავშვების მომავალი, ესაა ქართველ საზოგადო მოღვაწე ქალთა ძირითადი გულისტკივილი, რის გამოც მათმა თავი არ დაზოგეს და ცხოვრება თუ სამწერლო საქმიანობა მოცემული მდგომარეობის ასახვასა და მომავალი თაობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მიუძღვნეს.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე თვალსაჩინოა ქალთა გააქტიურება. ჩვენს სინამდვილეში თანდათანობით ყალიბდება საზოგადო მოღვაწე ქალის ტიპი, რომელიც სრულფასოვანი წევრი ხდება ქვეყნის ინტელექტუალური ცხოვრებისა.

ლიბერალიზმის ეპოქამ მოიტანა ქალთა საკითხის აქტუალიზაცია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა 60-იანელთა ახალი თაობა ახალი იდეოლოგიით, რომელიც, უპირველესად, ითვალისწინებდა ადამიანთა პიროვნულ თავისუფლებასა და ქალისა და მამკაცის უფლებრივ თანასწორობას.

60-იანელთა თაობის აქტიურობამ, მათ მიერ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა პუბლიცისტურმა წერილებმა ,,ქალთა საკითხის“ შესახებ და მათმა თანადგომამ გამოიწვია ქართველ ქალთა გააქტიურება, როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველი ქალების მოღვაწეობა არ იყო ვიწრო, პირადული ინტერესებით შემოსაზღვრული, მათი ფიქრი და მისწრაფება ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იყო. ამიტომაც ქართველ ქალთა ძირითადი საქმიანობა იყო მასწავლებლობა (ხელსაქმის, ქსოვის, ჭრა-კერვის, მეფუტკრეობის, მებაღეობის სწავლება) და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით სფეროში მუშაობა, ძირითადად: თარგმნა და წიგნების შეგროვება ბიბლიოთეკების გასახსნელად.

ქართველმა ქალებმა მიზანად დაისახეს, რომ თავიანთი განათლებით ხელი შეეწყოთ მომავალი თაობის წინსვლისათვის. ისინი მიდიოდნენ სასწავლებლად, სამშობლოში დაბრუნებულნი აარსებდნენ სკოლებს, ხელმძღვანელობდნენ სასწავლო პროცესს, ქმნიდნენ ყველა პირობას ბავშვების განათლებისთვის.

გამოიკვეთა ქალთა ორი კატეგორია: 1. ქალები, რომლებმაც იმდროინდელი სურათის, ყოფა-ცხოვრების კარგად დასანახად, პირადი ცხოვრების მაგალითები წერილობითად გააშუქეს საზოგადოების

წინაშე და ამ ფორმით ამხილეს მაშინდელი საზოგადოების მანკიერი ჩვეულებები (მელანია მამაცაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი). 2. ქალები, რომლებმაც მხატვრული ტექსტებით, რეალურ ამბებზე დაყრდნობით წარმოაჩინეს იმდროინდელი საზოგადოების მდგომარეობა.

ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში, ხაზგასმითაა წარმოდგენილი ქალის ჩაგრული ყოფა, მათი უუფლებო მდგომარეობა (განსაკუთრებით ეკ. გაბაშვილის მოთხრობებში).

ქალთა ლიტერატურულ შემოქმედებაში გამოიკვეთა ანგრეზიანი ქორწინების საკითხი, რომელიც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო იმ დროში. ქალი მწერლები გვიჩვენებენ რა შედეგები მოსდევს ქალის ნებართვის გარეშე გათხოვებას, რომელიც მალევე უბედურებით მთავრდებოდა, რაც კლავდა და ანადგურებდა ქალის სულიერ სამყაროს, უფერულს ხდიდა მის ცხოვრებას, ეს იყო ტრაგედია ქალთა ყოფისა.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი საყურადღებო თემაა ქალ მწერალთა შემოქმედებაში. მათ მიერ მხატვრულ ტექსტებში გამოიკვეთა მშობლების შვილებთან გაუცხოების პრობლემა. მათ გვიჩვენეს, რომ გოგონა ოჯახის სრულუფლებიან წევრად არ ითვლებოდა, ვაჟისთვის უნდა მიეცა ოჯახს განათლება, ქონება, ქალი მხოლოდ მზითვს სჯერდებოდა, ,,სწავლა განათლება რა ქალის საქმეაო“ (ბარბარე ჯორჯაძე).

მწერალ ქალთა ინტერესის სფეროში მოქცეულია იმდროინდელი სოფლის ცხოვრება. მათ მხატვრულ ტექსტებში ასახულია გლეხების ყოფა სოფელში. გლეხები შვილების სწავლა-განათლების საჭიროებას ვერ აცნობიერებენ და ჰგონიათ, რომ მხოლოდ მიწაზე მუშაობით შეიძლება თავის რჩენა და ოჯახის გამოკვება. გამოკვეთილია მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა ქართულ სოფლებში, გაჭირვებული ადამიანების შრომა ლუკმაპურისთვის, არსებობისთვის, მლიქვნელობით, მოტყუებით თავის გატანა, ობოლი, გაჭირვებული, ნახევრად მშიერი ბავშვების მძიმე ცხოვრება.

ქალების მიერ დაწერილ მხატვრულ ტექსტებში ნაჩვენებია ადამიანური ურთიერთობებისაგან (მეგობრობისგან, სიყვარულისგან) დაცლილი სოფელი, სადაც ზოგიერთს პროფესიად მაჭანკლობა გაუხდია და იოლი გზით ფიქრობს გამდიდრებას. პიესებში მაჭანკლობა გამოკვეთილია, როგორც პროფესია.

ქალი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებებში კარგად ჩანს მათივე ფსიქოლოგია, სულის სიღრმე, წუხილი და ტკივილი, რადგან ქალს კარგად შეუძლია ამოიცნოს დაჩაგრული ადამიანის ბედი, ყოფა, ამიტომაც მათ მხატვრულ ტექსტებში, ძირითადად, უბედური, უსიყვარულო, ცხოვრებისაგან გზააბნეული ქალები არიან წარმოდგენილნი, რომლებიც მსხვერპლნი არიან, იმ საზოგადოებისა, იმ სოციუმისა, რომელშიც ცხოვრობენ. მათ უჭირთ წინააღმდეგობების გადალახვა, უჭირთ სიყვარულის დაცვა, უჭირთ პროტესტის გამოხატვა და ბრძოლა თავიანთი უფლებების დასაცავად. სწორედ ასეთი ქალების ხვედრი აისახა ქართველ ქალთა მხატვრულ ტექსტებსა თუ პოეზიაში.

ერთი რამ ცხადია: იმ ეპოქაში, რომელშიც მოღვაწეობდნენ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ის ახლგაზრდა თაობა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მრავალმხრივ, როგორც ქართული ლიტერატურის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების საქმეში, წარმოუდგენელი იყო იმ დროში მოღვაწე ქართველი ქალები ასცდენონდნენ მათი იდეების ზეგავლენას. ჩვენ მიერ შესწავლილი მწერალი ქალების შემოქმედებას, ცხოვრებას, მოქმედებას, ატყვია სამოციანელთა რეალისტური სკოლის გავლენა. მაგრამ დასაფასებელია ქართველ ქალთა ის მონდომება, სურვილი და თავდაუზოგავი შრომა, რაც მათ საგანმანათლებლო საქმეში გამოამჟღავნეს. გამოაფხიზლეს, გამოაცოცხლეს და იმედი ჩაუსახეს სხვა ქალებსაც.

წარმოდგენილი ქალების ცხოვრებითა და მოღვაწეობით, მხატვრული ნაწარმოებებით, წერილებით, ლექსებით გამოჩნდა მთავარი: ყველასათვის თვალსაჩინო გაცდა, რომ ქალი არ ჩამოუვარდებოდა მამაკაცს, არც შრომით, არც გამზედაობით, არც განათლებით, არც სამშობლოზე და მის მომავალზე ფიქრით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა:

1. **ნესტან ღამბაშიძე**, მელანია მამაცაშვილი, ჟურნალი ,,ენა და კულტურა“, 2019, N 22, გვ. 107-111.
2. **ნესტან ღამბაშიძე**, ბარბარე ჯორჯაძის პოეზიის ზოგიერთი ასპექტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, გვ. 462–467;
3. **ნესტან ღამბაშიძე**, ქართველი ქალები ემანსიპაციის სათავეებთან, ჟურნალი ,,ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, 2020 (იბეჭდება).

List of publications related to the topic of the dissertation:

1. **Nestan Gambashidze**, Some Aspects of Barbara Jorjadze's Poetry – IV International Scientific Conference “Modern Interdisciplinarity Humanitarian thinking.“ Akaki Tsereteli State University publishing, 2020. pp. 462–467.
2. **Nestan Gambashidze**, Melania Mamatsashvili – Journal "Language and Culture" Kutaisi 2019, N 22, pp. 107-111

3**. Nestan Gambashidze**, Georgian women of emancipation With the headlines – magazine, "Current problems of Kartvelology" publishing house "Georgian University". St. Andrew the First-Called Georgian University of the Georgian Patriarchate, 2020.